საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 461 2019 წლის 20 სექტემბერი ქ. თბილისი

„საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის №315 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის №315 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/12/2013, 480040030.10.003.017482) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იმ ქვეყნების ნუსხის, რომლებშიც აკრედიტებულია საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები“ (დანართი №2):

1. 26-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„26. საქართველოს საელჩო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აკრედიტებულია მადაგასკარის რესპუბლიკაში, ზამბიის რესპუბლიკაში,

მოზამბიკის რესპუბლიკაში, ზიმბაბვეს რესპუბლიკაში, ბოტსვანის რესპუბლიკაში, მავრიკის რესპუბლიკაში, ლესოტოს სამეფოში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ანგოლის რესპუბლიკაში, ნამიბიის რესპუბლიკაში, ესვატინის სამეფოსა და მალავის რესპუბლიკაში.“.

2. 31-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 32-ე პუნქტი:

„32. საქართველოს საელჩო ბულგარეთის რესპუბლიკაში აკრედიტებულია ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკაში.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**